



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 53

2017 წლის 15 თებერვალი

ქ. თბილისი

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR)
ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო კონკურსის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს N133/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის ირაკლი გრძელიშვილის სამსახურებრივი ბარათის (N505112, 15.05.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2017 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში - ფონდი) და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო გრანტების კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობები ამ დანართის დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსის საპროექტო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილე პროექტის წარმდგენ ქართველ მკვლევართა განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
2. ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი